

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N17 - კურიერ სერვისი

1. **კურიერ სერვისთან** დაკავშირებული სპეციფიური ტერმინები:  
**SOLO კლიენტი** - ნებისმიერი **SOLO ანგარიშთა პაკეტის** მფლობელი ფიზიკური პირი.
2. **კურიერ სერვისით კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკისგან** მიიღოს და უკან გაუგზავნოს **ბანკს** დოკუმენტაცია/**ბარათი** საქართველოს ტერიტორიაზე ერთი ქალაქის ფარგლებში, ამასთან დამატებით **SOLO კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკისგან** მიიღოს ან/და უკან გაგზავნოს დოკუმენტაცია/ **ბარათი**, **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ქვეყნებში.
3. **კურიერ სერვისით** სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **საბანკო დღის** განმავლობაში, თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილება არ მიიღებს.
4. **კურიერ სერვისით** სარგებლობისათვის **კლიენტის** მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს ავტორიზებული (**ბანკში** რეგისტრირებული) **კლიენტის ტელეფონის ნომრის** ან **იმეილ ბანკის** მეშვეობით, ხოლო **SOLO კლიენტის** შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი **სერვის ცენტრის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით.
5. **კურიერ სერვისით** სარგებლობის შემთხვევაში **კლიენტი ვალდებულია**:
  - 5.1. ზუსტად მიუთითოს **ბანკს** მისამართი სადაც უნდა გამოცხადდეს კურიერი ან /და ზუსტად მიუთითოს **კურიერ სერვისით** სარგებლობის მიზნებისთვის ყველა საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები.
  - 5.2. წარუდგინოს კურიერს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
  - 5.3. ჩაიბაროს კონვერტი პირადად.
  - 5.4. შეამოწმოს მისთვის წარდგენილი კონვერტისა და ლუქის მთლიანობა. კონვერტის ან/და ლუქის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს და აცნობოს აღნიშნული ფაქტის თაობაზე.
  - 5.5. ხელი მოაწეროს მიღებულ დოკუმენტაციას (ხელმოწერის საჭიროების შემთხვევაში) და მიღებული ამანათის ჩაბარების შესაბამის დოკუმენტს პირადად, კურიერის თანდასწრებით და **ბანკში** დაფიქსირებული ფაქსიმილიეს შესაბამისად.
  - 5.6. არ გაანდოს კურიერს მიღებული/გაგზავნილი დოკუმენტ(ებ)ის შინაარსი ან/და **ბარათი** მონაცემები და არ გადასცეს კონვერტი კურიერს
  - 5.7. დოკუმენტაციის ბანკში უკან გაგზავნის საჭიროების შემთხვევაში, მოათავსოს დოკუმენტაცია ბანკის მიერ გაგზავნილ ცარიელ კონვერტში და კურიერისთვის ჩაბარებამდე სათანადო წესით დალუქოს იგი.
6. **SOLO კლიენტი** მიერ **კურიერ სერვისით** სარგებლობის შემთხვევაში **SOLO კლიენტი**:
  - 6.1. ვალდებულია დაიცვას წინამდებარე **დანართის 5.1., 5.2., 5.3., 5.4. და 5.6. პუნქტებით** დადგენილი მოთხოვნები.
  - 6.2. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და სრულად აცნობიერებს, რომ **ბარათის კურიერ სერვისით** მიღების მოთხოვნის შემთხვევაში **SOLO კლიენტი** სრულად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზიანზე ან/და ზარალზე, მათ შორის იმ ზიანზე ან/და ზარალზე რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს **კურიერ სერვისით** სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი **მესამე პირის** თაღლითური ქმედების შედეგად, მათ შორის ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც დაკავშირებული იქნება **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებასთან და **ბანკი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს ასეთი ქმედებების შედეგად დამდგარი ნებისმიერი ზიანი ან/და ზარალი, ამასთან, **SOLO კლიენტი** ადასტურებს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა მოქმედია **SOLO კლიენტის** მხრიდან **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში.
7. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **SOLO კლიენტი** ვალდებულია **იმეილ ბანკის** საშუალებით დაადასტუროს გაგზავნილი დოკუმენტაციის/**ბარათის** მიღება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების გზით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში **SOLO კლიენტის** სარგებლობაში არსებული **ინტერნეტ ბანკის** ონლაინ კონსულტაციის საშუალებით. გარდა იმ შემთხვევისა თუ **SOLO კლიენტი** ახორციელებს მიღებული **ბარათის** გააქტიურებას **მობილ ბანკის** საშუალებით.

8. **კურიერ სერვისით** სარგებლობისათვის **კლიენტი** ვალდებულია გაიაროს იდენტიფიკაცია, როგორც **ბანკში**, ასევე კურიერთან, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად ი
9. **ბანკი** უფლებამოსილია:
  - 9.1. დაადგინოს გარკვეული წესები და პირობები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თუ რომელი დოკუმენტაციის გაგზავნა არის შესაძლებელი **კურიერ სერვისის** საშუალებით და უარი განაცხადოს **კურიერ სერვისის** განხორციელებაზე, თუ დარღვეულია აღნიშნული წესები და პირობები;
  - 9.2. უარი განაცხადოს **კურიერ სერვისის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მხრიდან დარღვეულია **ხელშეკრულებით** ნაკისრი რომელიმე ვალდებულება.